სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

Legal Entity of Public Law - Gori State Teaching University

ბრძანება №1-68

გორი 13 10 2017წ.

სსიპ – გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში დავით აღმაშენებლისადმი მიძღვნილი მეხუთე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების დებულების დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის N125/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წესდების, აკადემიური საბჭოს 2016 წლის 15 აპრილის N09-34 დადგენილების, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის (11.10.2017. N1242121) და ისტორიისა და არქეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელის (05.10.2017. N1214049) სამსახურებრივი ბარათების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს სსიპ – გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში დავით აღმაშენებლისადმი მიძღვნილი მეხუთე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების დებულება დანართის შესაბამისად;

2. კანცელარიის უფროსს უზრუნველყოს ამ ბრძანების განთავსება ყველასთვის თვალსაჩინო ადგილას;

3. საინფორმაციო ტექნოლოგიების უზრუნველყოფის სამსახურს დაევალოს ამ ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

4. ეს ბრძანება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით;

5. ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში (თბილისი, უზნაძის №52), შემდეგ გორის რაიონულ სასამართლოში (გორი, ჯორბენაძის №30).

რექტორი გიორგი სოსიაშვილი

დანართი

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში დავით აღმაშენებლისადმი მიძღვნილი მეხუთე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების დებულება

1. აღნიშნული დებულება განსაზღვრავს გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში დავით აღმაშენებლისადმი მიძღვნილი მეხუთე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის (შემდგომში - კონფერენცია) ჩატარების წესს;
2. კონფერენციას ორგანიზებას და სათანადო დონეზე ჩატარებას უხელმძღვანელებს გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტთან ერთად;
3. კონფერენციაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოსა და საზღვარგარეთის უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლებს და დოქტორანტებს, სამეცნიერო–კვლევითი დაწესებულებების თანამშრომლებს;
4. კონფერენციაზე წარმოდგენილი სამეცნიერო მოხსენებები უნდა ეხებოდეს საქართველოს ისტორიის საკითხებს უძველესი დროიდან დღემდე;
5. კონფერენციაში მონაწილეობის მსურველებმა 2018 წლის 05 თებერვლის ჩათვლით ელექტრონული ფოსტის მისამართზე eldarmamistvalishvili@rambler.ru უნდა წარმოადგინონ:
ა) პირადი მონაცემების (აპლიკაციის) შევსებული ფორმა დანართი 1 / დანართი 2–ის შესაბამისად;
ბ) სამეცნიერო ნაშრომი.
6. საკონფერენციო სამეცნიერო ნაშრომი წარმოდგენილი უნდა იყოს ელექტრონული სახით შემდეგი მოთხოვნების დაცვით: ნაშრომი შეიძლება წარმოდგენილი იყოს ქართულ ან უცხოურ (ინგლისურ, რუსულ ან გერმანულ) ენებზე Microsoft Word-ის დოკუმენტის სახით; ქართულენოვანი ნაშრომისათვის სავალდებულოა LitNusx შრიფტის, ხოლო უცხოურენოვანი ნაშრომისათვის Times New Roman შრიფტის გამოყენება; შრიფტის ზომა 11 (გარდა სათაურისა, შრიფტის ზომა სათაურისთვის 12), ინტერვალი 1,5; გვერდის პარამეტრები: დაშორება ზემოდან, ქვემოდან, მარჯვნიდან, მარცხნიდან 2 სმ.; ნაშრომს თან უნდა ახლდეს გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი და რეზიუმე ინგლისურ ენაზე (რეზიუმე არაუმეტეს 300 სიტყვისა). ნაშრომის მოცულობა გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალისა და რეზიუმეს ჩათვლით არ უნდა აღემატებოდეს A4 ფორმატის 12 ნაბეჭდ გვერდს. ავტორის (ავტორების) სახელი და გვარი უნდა მიეთითოს ნაშრომის სათაურის ქვეშ ზედა მარჯვენა კუთხეში თანამდებობისა და ორგანიზაციის მითითებით. ტექსტში ლიტერატურის ციტირებისას გამოიყენება სქოლიო;
7. კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტი წარმოდგენილია შემდეგი შემადგენლობით:
   1. გიორგი სოსიაშვილი — გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი, კომიტეტის თავმჯდომარე;
   2. გიორგი ხორბალაძე — გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი, კომიტეტის წევრი;
   3. ალექსანდრე მღებრიშვილი — გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, პროფესორი, კომიტეტის წევრი;
   4. ელდარ მამისთვალიშვილი — გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელი, პროფესორი, კომიტეტის წევრი;
   5. იოსებ ალიმბარაშვილი — გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი, კომიტეტის წევრი;

6. ანა იმნაძე — გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საერთაშორისო და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი, კომიტეტის წევრი;
7. ლევან მიდოდაშვილი — გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი, კომიტეტის წევრი;

8. კონფერენციის პროგრამული კომიტეტი წარმოდგენილია შემდეგი შემადგენლობით:
1. ელდარ მამისთვალიშვილი — გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელი, პროფესორი, კომიტეტის თავმჯდომარე;
2. გიორგი სოსიაშვილი — გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი, კომიტეტის წევრი;
3. მიტროპოლიტი ანდრია — გორისა და ატენის მიტროპოლიტი, კომიტეტის წევრი;
4. მარიამ ლორთქიფანიძე – აკადემიკოსი, კომიტეტის წევრი;
5. როინ მეტრეველი — აკადემიკოსი, კომიტეტის წევრი;
6. ზურაბ პაპასკირი – პროფესორი, კომიტეტის წევრი;
7. ჯაბა სამუშია – პროფესორი, კომიტეტის წევრი;
8. დავით ყოლბაია — ვარშავის უნივერსიტეტის (პოლონეთი) პროფესორი, კომიტეტის წევრი;
9. ოთარ ჯანელიძე — გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი, კომიტეტის წევრი;
10. რეუვენ ენოხი — არიელის უნივერსიტეტის (ისრაელი) პროფესორი, კომიტეტის წევრი.

9. თითოეული ნაშრომის შეფასება მოხდება პროგრამული კომიტეტის მიერ და მოწონებული ნაშრომების ავტორები მოწვეულნი იქნებიან კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად.

10. კონფერენციაზე წარმოდგენილი მასალები გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის მიერ გამოიცემა შრომათა კრებულის სახით.

11. კონფერენციის მასალების კრებულის სახით გამოცემის მიზნით წარმოდგენილია სარედაქციო კოლეგია შემდეგი შემადგენლობით:
1. ელდარ მამისთვალიშვილი (რედაქტორი)
2. მეუფე ანდრია (გვაზავა)
3. ზაზა ალექსიძე
4. ბუბა კუდავა
5. ლია მელიქიშვილი
6. აპოლონ სილაგაძე
7. გიორგი სოსიაშვილი
8. ნოდარ შენგელია
9. დავით ყოლბაია

12. კონფერენცია ჩატარდება 2018 წლის 23 თებერვალს.

დანართი 1

სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ისტორიისა და არქეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი

დავით აღმაშენებლისადმი მიძღვნილი მეხუთე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

23 თებერვალი, 2018

აპლიკაციის ფორმა

ავტორის გვარი, სახელი:
თანაავტორის / თანაავტორების გვარი, სახელი:
ქვეყანა:
მისამართი:
ტელეფონის ნომერი: მობილური: სახლი:
ფაქსი:
ელ-ფოსტის მისამართი:
დაწესებულების დასახელება:
თანამდებობა:
ნაშრომის სათაური:

LEPL– GORI STATE TEACHING UNIVERSITY
Faculty of Humanities
Educational-Research Center for History and Archaeology
The Fifth International Scientific Conference
DEDICATED TO DAVID AGHMASHENEBELI (DAVID THE BUILDER)

23 February, 2018

Application Form

Surname, Name of the author:
Surname, Name of the coauthor/ coauthors:
Country:
Address:
Phone number: Mobile: Home:
Fax:
Email address:
Institution Name:
Position:
Title of the article: